

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი გეგმავს ინგლისური ენის 20 მასწავლებლის გაგზავნას კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაერთიანებული სამეფოს ქალაქ ედინბურგში მდებარე სასწავლო ცენტრში (Edinburgh College).

კანდიდატების შერჩევა მოხდება შემდეგი წესით:

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ **ინგლისური ენის საჯარო სკოლების მოქმედ (უფროს და წამყვან) მასწავლებლებს;**
2. კონკურსანტებს **არ უნდა ჰქონდეთ გავლილი** სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის, ან სხვა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი დიდ ბრიტანეთში.

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

**პირველ ეტაპზე** მოხდება დარეგისტრირებული კონკურსანტების შერჩევა წარმოდგენილი პორტფოლიოს საფუძველზე.

პორტფოლიოს დოკუმენტაცია:

- ა) CV ქართულ ენაზე;
- ბ) მასწავლებლის სწავლების ფილოსოფია: მასწავლებელმა უნდა წარმოადგინოს მაგალითები საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკიდან, თვითშეფასება, სწავლების რა სტრატეგიებს იყენებს და ა.შ. (ამ დოკუმენტის დასაწერად იხილეთ შაბლონი თანდართულ ფაილებში);
- გ) ჩატარებული ორი გაკვეთილის გეგმა;
- დ) წარმოდგენილი გეგმების თვითშეფასება (გაკვეთილის გეგმებში უნდა ჩანდეს როგორ გაითვალისწინა მასწავლებელმა წინა გაკვეთილის შეფასება ახლის დაგეგმვისას);
- ე) მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანგარიში და ამ ანგარიშის საფუძველზე საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსია (ნიმუში იხილეთ თანდართულ ფაილებში).

პორტფოლიოს ყველა კომპონენტი წარმოდგენილი უნდა იყოს **ინგლისურ ენაზე**.

პორტფოლიოების გადარჩევის შემდგომ, **მეორე ეტაპზე** გადასული კონკურსანტები გაივლიან გასაუბრებას (ზეპირ ინტერვიუს); ინტერვიუზე მასწავლებლებმა უნდა წარმოადგინონ მათ მიერ ჩატარებული ერთი კონკრეტული გაკვეთილის შეფასება (ევალუაცია) ინგლისურ ენაზე.

კონკურსანტები შეფასდებიან კომისიის მიერ, რომელიც დაკომპლექტდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის და ბრიტანეთის საბჭოს მოწვეული წარმომადგენლებით.

საკონკურსო განაცხადის გამოგზავნის ბოლო ვადაა 29 სექტემბერი;

პორტფოლიო გამოგვიგზავნეთ მისამართზე: [info@tpdc.ge](mailto:info@tpdc.ge);

საკონტაქტო პირი: ნონა პოპიაშვილი - [npopiashvili@tpdc.ge](mailto:npopiashvili@tpdc.ge)